მიხეილ სვანიძე

ტრაპიზონის კონფერენცია (1918 წლის 14 მარტი — 14 აპრილი)

ოსმალეთთან წინასწარი მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ, ქ. ტრაპიზონში მოეწვიათ კონფერენცია, რომელზეც უნდა შეემუშავებინათ სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება ამიერკავკასიის კომისარიატსა და ოსმალეთის მთავრობას შორის.[1]

16 თებერვალს (1 მარტს) ჩატარდა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა. მასზე განიხილეს ტრაპიზონის კონფერენციასთან დაკავშირებული საკითხები, სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დელეგაცია უნდა ყოფილიყო მონოლითური, ერთიანი, რომ ყოვლად დაუშვებელია სეპარატული გამოსვლები და დელეგაციას უნდა ეხელმძღვანელა სეიმის მიერ შემუშავებული „ძირითადი დებულებებით" ეს დირექტივები ითვალისწინებდა 1914 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის კავკასიაში არსებული საზღვრის აღდგენას და აგრეთვე დელეგაციას უნდა ებრძოლა აღმოსავლეთ ანატოლიის თვითგამორკვევის უფლებისათვის, კერძოდ, ოსმალეთის სომხეთისათვის ავტონომიის მინიჭებისათვის.[2]

საზავო კონფერენციის დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა აკაკი ჩხენკელი, დელეგატებად: გ. ლასხიშვილი (სოციალ-ფედერალისტი), გ. გვაზავა (ეროვნულ-დემოკრატი), ჰაიდარ აბაშიძე (სოციალ-დემოკრატი), ა. სტასოვი (დაშნაკი), რ. კაჩაზუნი (დაშნაკი), ხ. მამედოვი და მ. განჯინსკი (მუსავატი), მ. მესტიევი (რუსი მუსლიმი).

2 მარტს ამიერკავკასიის დელეგაცია უკვე აპირებდა გამგზავრებას თბილისიდან ტრაპიზონში, როდესაც ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ე. გეგეჭკორმა მიიღო ბრესტ-ლიტოვსკიდან რუსეთის საბჭოთა საზავო დელეგაციის მდივნის კარახანის დეპეშა, რომელშიც ეწერა: „თვითგამორკვევის გზით რუსეთს უნდა ჩამოშორდეს არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები". ამან დიდი პროტესტი გამოიწვია საქართველოს მთავრობის მხრიდან.[3]

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ, თუ ამიერკავკასიის მთავრობა არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას და მის მიერ ბრესტ-ლიტოვსკში დადებულ

---

[1] მ. სვანიძე, ერზიჯანის დროებითი ზავი, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 4, 1997, გვ. 170-179.

[2] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1919 г., Документ №46, с. 83, 84.

[3] დაწვრილებით იხ. მ. სვანიძე, ბრესტის ზავი და საქართველო, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 1996, თბ., ტ. 3, გვ. 285-304.

ხელშეკრულებას, მაშინ იგი საბოლოოდ უნდა გამიჯნოდა ბოლშევიკებს და ოფიციალურად გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, რაც აშკარა გახდა ტრაპიზონში ოსმალეთთან მოლაპარაკების პირველი დღიდანვე.

სეიმის დაარსების პირველი დღიდანვე ზოგიერთი წევრი მომხრე იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ასე, მაგალითად, სეიმის სხდომაზე გ. გვაზავამ განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ საჭიროა სახელმწიფოებრივად ამიერკავკასია ბოლშევიკურ რუსეთს ჩამოშორდეს... გავარკვიოთ საკითხი, რომ ჩვენ, ამიერკავკასია, წარმოვადგენთ საერთაშორისო ერთეულს, რომელსაც შეუძლია ზავის დადება. დღეს თქვენ იძულებული ხართ, ეს თქვათ, უამისოდ თქვენ არც ერთი სახელმწიფო ანგარიშს არ გაგიწევთ, ლოგიკურადაც და იურიდიულადაც საჭიროა ითქვას, რომ ჩვენი სეიმი არის ეროვნული, დამოუკიდებელი რუსეთისაგან. ეს თუ არა ვთქვით, ჩვენ ბოლშევიკების კირთების ქვეშ დავიღუპებით. უნდა ითქვას: ამიერკავკასია პოლიტიკურად თავისუფალია (დამოუკიდებელია)“ [4] გ. გვაზავას ამ წინადადებას ყურადღება არ მიაქციეს.

4 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, მოიწვიეს სეიმის სხდომა. გაიმართა ცხარე კამათი. სეიმის ზოგიერთი წევრი მოითხოვდა, ამიერკავკასია დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებულიყო. მუსავატები და მუსლიმანთა სხვა ჯგუფები იმ აზრისა იყვნენ, რომ საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ სეიმში დღესვე უნდა დაისვას და გადაწყდეს კიდეცო.[5]

დაშნაკები წინააღმდეგნი იყვნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. მათი აზრით, ამისთვის შესაფერისი დრო არ იყო — ეს საკითხი ოსმალეთთან მოლაპარაკების პროცესში უნდა გადაწყდესო. ესერები კი დამოუკიდებლობის მომხრენი იყვნენ.

სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას სურდა, ოსმალეთთან ზავი დადებულიყო 1914 წლის საზღვრების შენარჩუნებით, ბოლშევიკების მიერ მიღებული საზავო პირობები კი ამიერკავკასიისათვის სავალდებულო არ უნდა ყოფილიყო; ამ მიზნის განსახორციელებლად, ფრაქცია არ მოერიდებოდა ამიერკავკასიის თუნდაც დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას, და თუ ეს მოხდება, მაშინ ყოველი ღონისძიება უნდა გატარდეს, რათა ამიერკავკასია სხვა სახელმწიფოებმა ნეიტრალურ სახელმწიფოდ აღიარონ — აცხადებდნენ ისინი.[6]

---

[4] გაზ. სახალხო საქმე, 1918, №125.

[5] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწ. I, საქმე, 5, ფ. 48, 49.

[6] იქვე.

საბოლოოდ გამოირკვა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების პრინციპულად წინააღმდეგი არავინ იყო და მხოლოდ, ტაქტიკური მოსაზრებებით, ზოგი საჭიროდ არ მიიჩნევდა, იგი დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო.[7]

ამავე დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ საკითხში აჩქარებით ნაბიჯის გადადგმა სახიფათო იყო. ეშინოდათ, ოსმალეთის ბრჭყალებში არ ჩაცვენილიყვნენ, ეძებდნენ სანდო მოკავშირეებს: „სანამ ისეთ მოკავშირეს არ დავინახავთ, რომელიც მართლაცდა გულწრფელად დაიცავს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, ჩვენ ისე ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამთო".[8]

ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის სეიმმა თავი შეიკავა დამოუკიდებლობის გამოცხადებისაგან, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომა იყო.

ოსმალეთის მთავრობა ჩქარობდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების რეალიზაციას. 25 თებერვალს (10 მარტს) ღამით ამიერკავკასიის მთავრობამ მიიღო დეპეშა, გამოგზავნილი ამიერკავკასიაში მყოფი რუსეთის ჯარების მთავარსარდალ გენერალ ლებედინსკის სახელზე, რომელშიც ეწერა: „რუსეთის რესპუბლიკამ ეს-ეს არის ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც უნდა მოხდეს ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქებიდან რუსეთის ჯარების ევაკუაცია. ამის გამო, მაქვს პატივი, ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ მე ბრძანება მივიღე გენერალისიმუსისაგან, რათა გთხოვოთ, რაც შეიძლება მალე დაცალოთ აღნიშნული ოლქები."[9]

იმავე დღეს ვეჰიბ ფაშამ აცნობა რუსეთის არმიის მთავარსარდლობას, რომ განაახლა საომარი ოპერაციები და დაიკავა ტრაპიზონი.[10]

ამგვარად, ოსმალეთის მთავრობა არ დაელოდა ამიერკავკასიის მთავრობასთან საზავო მოლაპარაკების დაწყებას და განაახლა საომარი ოპერაციები, რაც ეწინააღმდეგებოდა ერზინჯანის დროებითი ზავის პირობებს.

26 თებერვალს (11 მარტს) შედგა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა. ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა. კამათში მონაწილეობა მიიღო ნოე ჟორდანიამ. მან სხვა საკითხებთან ერთად თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბათუმის საკითხს: „ბათუმი ჩვენთვის, — განაცხადა მან, — ეს იგივეა, რაც პეტროგრადი რუსეთისათვის და სმირნა (იზმირი) თურქებისათვის. ეს ერთადერთი გასასვლელია შავ ზღვაზე. მისი წყალობით ამიერკავკასიას საშუალება მიეცა, ეკონომიკურად განვითარებულიყო და საერთოდ დამსგავსებოდა ევროპულ ქვეყნებს. ბათუმი დაკავშირებულია ევროპასთან შავი ზღვით. თუ წაიღებთ

---

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Д. №49, с. 86.

[10] იქვე, გვ. 87.

ბათუმს, მაშინ ბაქო იზოლირებული აღმოჩნდება და მისი მრეწველობა დაქვეითდება. თუ თქვენ მოკვეთთ ბათუმს, მაშინ მთელი მხარე ნავსადგურის გარეშე დარჩება, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველო.

აქვს თუ არა ასეთივე მნიშვნელობა ბათუმს თურქეთისათვის? ასეთი მნიშვნელობა ბათუმს თურქეთისათვის არა აქვს. თუ ბათუმს თურქებისათვის ისეთივე მნიშვნელობა ექნებოდა როგორც იზმირს, მაშინ მას ისეთივე ღირებულება ექნებოდა, როგორც პეტროგრადს რუსეთისათვის. სინამდვილეში, ამის მსგავსი არაფერია. ჩვენ როდესაც თურქებისაგან მივიღეთ ბათუმი, იგი წარმოადგენდა მივარდნილ ადგილს, რადგან თურქეთის ეკონომიკური და კულტურული განვითარება ბათუმიდან არ მომდინარეობდა".[11]

სეიმის მრავალმა წევრმა კვლავ გააკრიტიკა მთავრობა იმის გამო, რომ იგი აყოვნებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.[12]

ამიერკავკასიის სეიმი ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდა და აჭიანურებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

7 მარტს ამიერკავკასიის დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა, მეორე დღეს ბათუმში ჩავიდა და იქიდან კრეისერ „კაროლ კარლოსით" ტრაპიზონში გაემგზავრა. იმავე საღამოს ტრაპიზონში ჩავიდა. ამიერკავკასიის დელეგაცია, შეიარაღებული დაცვის ჩათვლით, 100-მდე კაცს ითვლიდა. ტრაპიზონში დელეგაციის ჩასვლის შემდეგ, ერთი თურქული გაზეთი ირონიულად წერდა: „თუ ეს სამხედრო შენაერთია, მაშინ ძალიან ცოტანი არიან, ხოლო თუ სამშვიდობო დელეგაციაა – ძალიან ბევრია".[13]

ოსმალეთი არ ჩქარობდა კონფერენციის დაწყებას და მისი დელეგაცია ტრაპიზონში ოთხი დღის დაგვიანებით ჩავიდა. ამასთანავე ოსმალეთის დელეგაცია მცირერიცხოვანი იყო და მეორეხარისხოვანი თანამდებობების პირებისაგან შედგებოდა. ოსმალეთის დელეგაციას თავმჯდომარეობდა ჰუსეინ რაუფ ბეი, პირველი რანგის კაპიტანი, საზღვაო დეპარტამენტის შტაბის უფროსი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: მეჰმედ ნუსრეთ ბეი – ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამმართველოს განყოფილების უფროსი, თევქიფ სამი ბეი – ოსმალეთის ამიერკავკასიის ფრონტის მთავარი ექიმი, ჰუსეინ ბეი – ოსმალეთის ამიერკავკასიის ფრონტის ოპერატიული განყოფილების უფროსი, იუსუფ რიზა ბეი – დელეგაციის პირველი მდივანი, ისმაილ გამილ ბეი – მრჩეველი, სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი.[14]

---

[11] იქვე, Д. №53, გვ. 94, 95.

[12] იქვე.

[13] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები. პარიზი, 1924 წ., თბ., 1929, გვ. 33.

[14] Akdes Nimet Kurat, Türkiye ve Rusya (1798-1919), Ankara, 1970, s. 467, 468.

ტრაპიზონში მოლაპარაკების დროს შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით დელეგაციის ხელმძღვანელი აკაკი ჩხენკელი წერს: „პირობები. რომელთა შორის მიმდინარეობდა დელეგაციის მუშაობა, მეტისმეტად მძიმე იყო. იმის განხილვას, თუ რატომ იყო ასეთი პირობები, არ შევუდგები. ჩვენ რომ მივდიოდით, გვეგონა, ნეიტრალურ ქალაქში ვიქნებოდით, რომელიც არც რუსეთს ეკუთვნოდა, არც ოსმალეთს. როცა ჩავედით, ჩვენი ჯარი ტრაპიზონიდან უკვე წასული იყო. მათ (თურქებმა, მ. ს.) განაცხადეს, რომ ისინი მასპინძლები არიან და ჩვენ კი მათი სტუმარი. ეს გარემოება არ იყო ჩვენთვის ხელსაყრელი, რადგანაც თავს თავისუფლად ვერ ვგრძნობდით.

ამასთანავე თავს დაგვატყდა ჩვენი ჯარის მიერ ერზინჯანის დატოვება, შემდეგ არზრუმისა. ამას მოჰყვა სარაყამიშის დაცემა. ამის გარეშე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს შინაურ მდგომარეობასაც — ბოლშევიკების მოძრაობას, როგორც, მაგალითად, ბოლშევიკების გამოსვლა ბაქოში და სხვა ამისთანას.

ერთი სიტყვით, დელეგაციას მუშაობა მძიმე პირობებში უხდებოდა. მოწყვეტილი ვიყავით ჩვენს ქვეყანას, არც გაზეთი მოგვდიოდა, არც დეპეშა...

ამას გარდა, თვით დელეგაცია, მისი შინაგანის წყალობით, დიდ უხერხულობას წარმოადგენდა. ჯერ ერთი, იგი მრავალრიცხოვანი იყო. თითქმის ყველა პარტიას ჰყავდა თავისი წარმომადგენელი. ამასთანავე თვით დელეგატთა შორის არ იყო თანხმობა, ერთსულოვნება. ამას ზედ დაერთო ის, რომ სახელმწიფოს, რომელსაც ჩვენ ვასახიერებდით, არა ჰქონდა იურიდიული ფორმა, ეროვნული საკითხი არ იყო გადაჭრილი და სხვა ამისთანა, რაც ძალიან გვიმძიმებდა მოქმედებას.

პირველ დღიდანვე გამოჩნდა ჩვენი დელეგაციის სისუსტე. მაშინ, როდესაც ჩვენს დელეგაციაში ერთსულოვნება, ერთი აზრი არ არსებობდა, ჩვენ მთელი დღეებით გვიხდებოდა ხოლმე კამათი და დავა ჩვენსავე შორის ამა თუ იმ საკითხზე და მაინც ერთი გადაჭრილი დასკვნის გამოტანას ვერ ვახერხებდით, ოსმალეთის დელეგაციისაგან პასუხი სულ რამდენიმე საათში მოგვდიოდა."[15]

ტრაპიზონის კონფერენციის მეორე მონაწილე სამსონ ფირცხალავა შემდეგნაირად აგვიწერს იქ შექმნილ ვითარებას: „პირველად გამოვედით დიპლომატიურ სარბიელზე და მწვავედ განვიცადეთ, რომ აქ სხვა ენაზე ლაპარაკობენ, სხვა საფუძველზე ამყარებენ მოთხოვნილებას. სხვა საზომით სწყვეტენ სადავო საკითხებს. ჩვენი რაინდული გულწრფელობა აქ ღიმილს იწვევს, ჩვენს უმართლეს უფლებას ჯარის დარაზმით აბათილებენ, ჩვენს წინადადებას, ცამდე სამართლიანს და ყოვლად გონივრულს იმდენად აფასებენ და ანგარიშს უწევენ, რამდენად ჩვენს სიტყვას ბანს აძლევს და ზურგს უმაგრებს ჩვენი სამხედრო მდგომარეობა.

---

[15] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა I, საქმე 5, ფ. 76.

აქ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ენით, ერთი საბუთით: საომარი მომზადება და სამხედრო მოქმედების უნარი. ვინც ამ იარაღით არაა აღჭურვილი და ისე გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე საზავო მოლაპარაკებისათვის, ის თავიდანვე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ აუცილებლად წააგებს, სამარცხვინოდ დამარცხდება".[16]

I (14) მარტს გაიხსნა კონფერენციის პირველი სხდომა. ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ რაუფ ბეიმ მისალმების შემდეგ ამიერკავკასიის დელეგაციას მოსთხოვა წარმოედგინა დაწვრილებითი დეკლარაცია ამიერკავკასიის რესპუბლიკის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანიზაციის შესახებ და გაეცა პასუხი: შესრულებულია თუ არა ყველა ის პირობა, რომელიც საჭიროა, საერთაშორისო სამართლის წესით, სახელმწიფოს შექმნისათვის.[17]

ამგვარი სახის ახსნა-განმარტება რაუფ ბეიმ მოსთხოვა ამიერკავკასიის დელეგაციას იმისათვის, რათა „დაესაბუთებინა", რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და არ შეუსრულებია საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული პირობები და ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია დეკლარაცია თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ, ხოლო რამდენადაც ამიერკავკასია ჯერ კიდევ არ არის დამოუკიდებელი, მან უნდა ცნოს რუსეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ხელშეკრულება.

3 (16) მარტს ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელმა პასუხი გასცა რაუფ ბეის შეკითხვას. აკ. ჩხენკელმა თავის გამოსვლაში განაცხადა: ამიერკავკასიის სეიმი შექმნილია თავისუფალი ხალხის ნება-სურვილით და ამჟამად წარმოადგენს მმართველობის ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს ამიერკავკასიაში. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ცენტრალური ხელისუფლების გამოვლენა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეწყდა. ამიერკავკასიის მთავრობამ მიიღო თურქეთის მთავრობის მიერ შემოთავაზებული წინადადება, დაეწყო სამშვიდობო მოლაპარაკება საბოლოო საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით. ამჟამად ამიერკავკასია წარმოადგენს სახელმწიფოს, თუმცა მას ამის შესახებ ოფიციალური ნოტა არ გაუგზავნია სახელმწიფოებისათვის.[18]

3 (16) მარტს რაუფ ბეიმ ამიერკავკასიის დელეგაციის ამ განცხადებას ასე უპასუხა: „ოსმალეთის იმპერიის დელეგაცია გაეცნო ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელის დეკლარაციას და ადასტურებს, რომ ეს დელეგაცია შედგება სეიმის წარმომადგენლებისაგან, რომ აღნიშნული სახ-

---

[16] გაზეთი „სახალხო საქმე", 13 (26) მარტი, 1918 წ. №193.

[17] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Д. №156, с. 116, 117.

[18] იქვე.

ელმწიფოს ფორმულა არ შეესაბამება საერთაშორისო ნორმების პრინციპებს, და რომ ამ სახელმწიფომ ჯერ კიდევ არ შეიმუშავა დეკლარაცია თავისი დამოუკიდებლობის შესახებ. ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო გულწრფელად უსურვებს ამიერკავკასიის ხალხებს თავისუფალ განვითარებას და ფიქრობს, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს ამ ხალხებთან. ამასთან, ოსმალეთის დელეგაცია მოითხოვს ამიერკავკასიის დელეგაციისაგან, განსაზღვროს და ოფიციალურად მოახსენოს ამ მთავრობას დეკლარირება... მისი შექმნა, დაადგინოს საზღვრები, ტერიტორია, სახელმწიფო ენა და რელიგია, ამასთან, ზუსტად განსაზღვროს აღნიშნული მთავრობის მდგომარეობა და პოზიცია ოსმალეთის სახელმწიფოსთან დამოკიდებულების საკითხში.[19]

რაუფ ბეიმ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აღნიშნა: „თქვენ იყავით ნაწილი რუსეთისა, როცა ბრესტში ზავი შეიკრა. ჩვენ მოგიწოდეთ, გამოგეგზავნათ თქვენი მთავრობის წარმომადგენელი ბრესტის საზავო კონფერენციაზე, თქვენ ეს არ მოისურვეთ, თქვენი წარმომადგენელი არ დასწრებია ამ კონფერენციას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენელი, ამიტომ ბრესტის ზავი თქვენთვის სავალდებულოა და მოვითხოვთ – ამ ზავის პირობებით განსაზღვრული ადგილები დასცალოთ."[20]

ოსმალეთის დელეგაცია აცხადებდა: „მათ არავითარი ცნობა არა აქვთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, რომ ჯერ არცერთ სახელმწიფოსაგან იგი არ არის ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას გულისხმობენ ვით რუსეთის ნაწილს. მაშასადამე, ბრესტის ზავის შესახებ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება. – ჩვენ იმიტომ მოვედით, – სთქვეს მათ, – რომ ასრულებაში მოვიყვანოთ ბრესტის ზავის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ამიერკავკასიას და შევკრათ თქვენთან მეგობრული კავშირი".[21]

თურქეთს სჭირდებოდა, რომ ამიერკავკასიას რაც შეიძლება მალე, მანამდე, სანამ თურქეთის ჯარები 1878 წლამდე არსებულ საზღვარს გადალახავდნენ, დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. ამით ბრესტის ზავის დასარღვევად იურიდიული საფუძველი შეიქმნებოდა. ტრაპიზონის კონფერენციის პირველსავე სხდომაზე თურქებმა მოითხოვეს ბრესტის ზავით გათვალისწინებული ტერიტორიების დაუყოვნებლივ მისთვის გადაცემა და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება.[22]

---

[19] იქვე, Д.№58, с. 118, 119.

[20] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღ. 1, წიგნი 5, ფ. 78.

[21] იქვე, ფ. 77.

[22] ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, გვ. 182.

ამრიგად, კონფერენციის მსვლელობის დროს ოსმალეთი ამიერკავკასიის დელეგაციისაგან მოითხოვდა: 1. გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, 2. ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და მისთვის გადაეცა არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები.

ვფიქრობთ, ამიერკავკასიის დელეგაციამ აშკარა შეცდომა დაუშვა და არ მოსთხოვა ოსმალეთის დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ტექსტი, რაც მას საშუალებას მისცემდა დაეზუსტებინა, რამდენად შეესაბამებოდა ოსმალეთის ტერიტორიული პრეტენზიები ხელშეკრულების პირობებს. შესაძლებელია, მაშინ მოლაპარაკება სულ სხვა გზით წარმართულიყო.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლში ჩაწერილია: „არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს რუსეთის ჯარი. რუსეთი არ უნდა ჩაერიოს ამ ოლქების ახალ სახელმწიფოსამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ ორგანიზაციებში და უნდა მისცეს შესაძლებლობა ამ ოლქების მოსახლეობას, დაამყაროს ახალი წყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით."[23]

როგორც ვხედავთ, ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები ოსმალეთს უნდა გადასცემოდა. იქ მხოლოდ აღნიშნულია, რომ ამ ტერიტორიიდან რუსეთის ჯარის გაყვანის შემდეგ, მისმა მოსახლეობამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი, ე. ი. უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი მეზობელი სახელმწიფოების წარმომადგენლების მონაწილეობითა და დახმარებით.

ამრიგად, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ეს მუხლი ითვალისწინებს აქ მცხოვრები ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, რომელთა რეალიზაციაში დახმარება უნდა აღმოეჩინათ მეზობელ სახელმწიფოებს.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის დელეგაციამ კონფერენციაზე დასვა საკითხი ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგლებში სომხებისათვის თვითგამორკვევის უფლების მიცემის შესახებ. ოსმალეთის დელეგაციამ სასტიკი პროტესტი განაცხადა და ეს ჩათვალა მის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად.

ტრაპიზონში ყოფნის დროს ქართველთა დელეგაციის წევრები გარკვეულ მუშაობას ატარებდნენ საქართველოს ინტერესების დასაცავად. ასე მაგალითად: ჰაიდარ ბეგ აბაშიძემ დიდი პატივისცემა დაიმსახურა იქ მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს შორის თავისი მოქმედებითა და საქმიანობით. მან ათასობით პროკლამაცია ჩაიტანა ხალხში გასავრცელებლად საქართ-

---

[23] Ю. В. Ключников и А. Сабанин, Международная политика новейшего времени в договорах, нотах и документах, ч. II, М., 1925 г., с. 124; Tülây Duran, Brest Litovsk Andlaşmasi ve Türkiye, (Belgelerle) Türk Tarihi Dergisi n. 38, Kasim 1970, s. 13-20.

ველოსთან ერთიანობის პროპაგანდის მიზნით, რათა ქართველ მაჰმადიანებს არ შეეწყვიტათ კავშირი თავის დედა სამშობლო საქართველოსთან.[24]

საქართველოს დელეგაციასთან სადარბაზოდ იყო ბერძენი მიტროპოლიტი. მან საუბრის დროს განაცხადა: „ოსმალთა განზრახვაა მთელი კავკასიის დაპყრობა. არა გამოვა რა. თუ ძალა გაქვთ, იფიქრეთ თავდაცვაზე, თუ არა და უნდა მიიღოთ მათი პირობები და ეცადოთ მომავალში საქმე გამოასწოროთ".[25]

დელეგაციის ერთ-ერთი მონაწილე სამსონ ფირცხალავა ტრაპიზონიდან იტყობინებოდა: „სტამბოლში განჯიდან და ახალციხიდან დელეგატები იყვნენ, რომელთაც სთხოვეს ოსმალეთის მთავრობას, მთელი კავკასია შეიერთე ან პროტექტორატი მაინც დააწესეო. ეს დელეგატები ახლა ტრაპიზონში იმყოფებიან თურმე. ერთი ახალციხელი ის პირია, რომელიც ქართველების წინააღმდეგ მუშაობდა ყოველთვის. უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ოსმალეთს სწადია მხოლოდ დროის მოგება".[26]

კონფერენციის სხდომებზე მიმდინარეობდა კამათი მონაწილე მხარეებს შორის, მაგრამ ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ბოლოს გადაწყდა, რომ კონფერენცია დროებით შეწყვეტდა მუშაობას, რათა დელეგატებს მიეღოთ თავიანთი მთავრობებისაგან დამატებითი დირექტივები.

22 მარტს კონფერენციაზე გამოცხადდა შესვენება, დელეგატების ნაწილი თბილისში დაბრუნდა.

25 მარტს გაიმართა სეიმის სხდომა, რომელზედაც მოისმინეს ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობის ანგარიში. დელეგატებმა აღნიშნეს, რომ კონფერენციის დაწყებისთანავე ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციებს შორის გამომჟღავნდა დიამეტრულად განსხვავებული თვალსაზრისი. ფაქტობრივად კონფერენცია ჩიხში მოექცა. გაიმართა კამათი, რომლის შედეგად სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება: საგანგებო უფლებები მიენიჭა დელეგაციის მეთაურს აკ. ჩხენკელს, მაგრამ „მისი მოქმედება უნდა ყოფილიყო სეიმის გადაწყვეტილების ფარგლებში". მას ოსმალეთის დელეგაციისათვის უნდა განეცხადებინა, რომ „თუმცა იურიდიულად უარვყოფთ ბრესტის ზავს, მაგრამ მზადა ვართ ზოგიერთ ტერიტორიულ დათმობაზე".[27]

ამის შესაბამისად შემუშავდა ოსმალეთისათვის ტერიტორიების დათმობის მინიმუმი და მაქსიმუმი.

---

[24] საქართველოს ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღ. I, წიგ. 5, ფ. 83.

[25] გაზ. „სახალხო საქმე", 28 (9) მარტი, 1918 წ. №206.

[26] იქვე.

[27] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Д. №70, с. 146-152.

5 აპრილს კონფერენციამ განაახლა მუშაობა. ამიერკავკასიის დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი მზადაა, ოსმალეთის მიმართ წავიდეს შემდეგ ტერიტორიულ დათმობებზე: ოსმალეთს უნდა გადასცემოდა მთელი ოლთისის ოლქი, არტაანის სამხრეთი ნაწილი, ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და ყაღიზმანის ოლქის დასავლეთი ნაწილი. „ეს იყო დათმობების მინიმუმი, — წერს აკ. ჩხენკელი, — მერე წავიდოდით მაქსიმუმზე და შემდეგ, როგორც სრულუფლებიან თავმჯდომარეს, შემეძლო კვლავ სხვა რამ საშუალება გამომეძებნა".[28]

ოსმალეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ამ წინადადებას თავის მთავრობას გადასცემდა.

6 აპრილს საღამოს 7 საათზე ოსმალეთმა ამიერკავკასიის დელეგაციას წარუდგინა ულტიმატუმი — ეცნოთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები. ამ მოთხოვნაზე პასუხი უნდა მიეღოთ 48 საათის განმავლობაში.[29]

სწორედ ამ დროს თბილისიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოვიდა რადიო-დეპეშა; იგი შეიცავდა ბრესტ-ლიტოვსკის ოფიციალურად შემოწმებულ მე-4 მუხლს, რომელიც ამიერკავკასიას შეეხებოდა.[30]

დელეგაციის წევრები დიდი ყურადღებით გაეცნენ ხელშეკრულების ამ მუხლს. სომხეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს: „რატომ უნდა დავთმოთ ეს ადგილები, როდესაც ბრესტის ზავი თითქოს ამ სამ ოლქს, იქ დასახლებულ ხალხს, თვითგამორკვევის უფლებას აძლევს. რა უფლება გვაქვს, დიდი ნაწილი ამ ადგილებისა ჩამოვჭრათ და ოსმალეთის კუთვნილებად ვაღიაროთო.[31]

ამას დაეთანხმნენ აზერბაიჯანელი დელეგატები. მათ შორის გაჩნდა ისეთი მიმდინარეობა, რომელიც ემხრობოდა სომხების თვალსაზრისს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის განმარტების საკითხში.

ბრესტის ზავის მომხრენი ამბობდნენ: შეიძლება იქ მცხოვრები ხალხი რუსეთის ორიენტაციისა არ იყოს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ უეჭველად ოსმალეთის ქვეშევრდომობა უნდათო. საჭიროა ხალხი დავკითხოთ. სომხების ნათქვამიდან ირკვეოდა, რომ განსაკუთრებით ყარსისა და ყაღიზმანის მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, რადგანაც ამ ორ ოლქში სომეხთა მოსახლეობა უმრავლესობაა.[32]

---

[28] საქართველოს ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა, I, წიგნი 5, ფ. 79.

[29] A. N. Kurat, op. cit. s. 472; Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Д. 72, с. 155.

[30] საქართველოს ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღ. I, საქ. ფ. 79.

[31] იქვე. ფ. 80.

[32] იქვე.

ქართველი დელეგატებიც დაეთანხმნენ მათ. გამოვიდა თითქმის ერთსულოვნება. საერთოდ თქვეს: სჯობია ბრესტის ზავს დავეთანხმოთ, ვიდრე თანხმობა განვაცხადოთ ტერიტორიების მიცემაზეო.[33]

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების „ეს მუხლი, — ამბობდა აკ. ჩხენკელი, — მეტად მნიშვნელოვანია. იგი ჰგულისხმობს ჯერ ერთი იმ ხალხთა უფლებას, რომლებიც სცხოვრობენ ამ მუხლში აღნიშნულ ტერიტორიაზე და მერე ამ ხალხთან მეზობელ სახელმწიფოების მონაწილეობას მათი ბედიღბლის მოწყობაში. რადგანაც ამ მუხლის ზუსტი ტექსტი ჩვენ გვიან მოგვივიდა, დრო არ გვქონდა მოგვეთხოვა ოსმალეთის დელეგაციისაგან ამ მუხლის კომენტარები."[34]

მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო, რადგან დელეგაციას 48 საათიანი ულტიმატუმი ედო წინ და არ შეიძლებოდა ოსმალეთის დელეგაციასთან რაიმე დისკუსიის დაწყება.

ამრიგად, ამიერკავკასიის დელეგაცია მოუმზადებელი აღმოჩნდა, ძვირფასი დრო დაკარგა და საშუალება აღარ ჰქონდა, საქმიანი მოლაპარაკება ეწარმოებინა ოსმალეთთან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების უაღრესად მნიშვნელოვან მე-4 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ამიერკავკასიას შეეხებოდა.

ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ ამიერკავკასიის დელეგაციის ერთი ნაწილი მომხრე იყო, ოსმალეთისათვის დაეთმო ტერიტორიების მაქსიმუმი, ხოლო მეორე ნაწილს სურდა, ბრესტის ზავის პირობები მიეღო.[35]

5 აპრილის განცხადების საპასუხოდ, რომ ამიერკავკასიის დელეგაცია მზად არის, ნაწილობრივ დათმობაზე წავიდეს, თურქეთმა ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა ბრესტის ზავის პირობების მიღება. ამავე დროს თურქეთის ჯარები ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების ოკუპაციას შეუდგნენ.[36]

ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის დელეგაციამ 25 მარტს (7 აპრილს) გადაწყვიტა, ოსმალეთისათვის შეეთავაზებინა დათმობების მაქსიმუმი. ამის შესახებ აკ. ჩხენკელმა აცნობა თავის მთავრობას. დათმობის მაქსიმუმი ასე გამოიყურებოდა: ამიერკავკასიას რჩებოდა ქ. ბათუმი, ართვინის ოლქის ჩრდილოეთი უბანი და ყარსის ოლქში აღმოსავლეთის საზღვრის გასწვრივ მცირე ზოლი, რომელიც სომხებით იყო დასახლებული. ამავე წერილში აკ. ჩხენკელი წერდა, რომ იგი დარწმუნებული იყო, თურქები ბათუმს არ დათმობდნენ.

---

[33] იქვე.

[34] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფ. 82, 83.

[35] იქვე.

[36] ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, გვ. 184.

აკ. ჩხენკელი პასუხს სეიმისაგან ელოდებოდა 26 მარტს (8 აპრილს). თუ აღნიშნულ დროში პასუხს არ მიიღებდა, მაშინ იგი ჩათვლიდა, რომ მისი წინადადება სეიმის მიერ მოწონებულია.[37]

26 მარტს თურქებმა განაახლეს საომარი ოპერაციები ამიერკავკასიის წინააღმდეგ, დაიკავეს არტაანი და შეუდგნენ ბათუმისა და ყარსის ოლქების ოკუპაციას.

იმავე დღეს ე. გეგეჭკორმა აცნობა აკ. ჩხენკელს, რომ სეიმი თანახმაა მოთხოვნათა მაქსიმუმის დაკმაყოფილებაზე.[38]

ტრაპიზონის კონფერენციის ამ კრიტიკული დღეების შესახებ აკ. ჩხენკელი ასე გადმოგვცემს: „26 მარტს (8 აპრილს) საღამოს 7 საათზე თავდებოდა ულტიმატუმის ვადა. მთავრობის პასუხი მე ცოტა დაგვიანებით მივიღე. ამ პასუხით იგი ადასტურებდა დათმობის მაქსიმუმს. მაგრამ ამავე დროს ამბავი მოვიდა — ბათუმის ფრონტი ოსმალებმა გადალახეს, ქართველმა ჯარმა უკან დაიხია და პოზიციები მიატოვა, ოსმალები ბათუმიდან რვა კილომეტრზე არიანო. ეს იყო 26 მარტს (8 აპრილს).

ადვილად წარმოიდგენთ ჩვენს მდგომარეობას. ასეთი უნუგეშო ამბები და ამავე დროს შინ, დელეგაციაში, დაუსრულებლად კამათი და დავა. ამის შემდეგ ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა, ბრესტის ზავის პირობები მივიღოთო. მე მაინც არ დავეთანხმე. მაგრამ კვლავ მოვიდა ცნობა, ბათუმი ცუდ მდგომარეობაშიაო. გამოირკვა, რომ დიპლომატიური გზით შეუძლებელი იყო ბათუმის შენარჩუნება. იარაღით კი რამდენიც გნებავთ. და როდესაც დავინახე, რომ ამ გზით სვლა უიმედოა, იძულებული გავხდი, მიმემართა ამიერკავკასიის მთავრობისათვის და მეთხოვა ბრესტის ზავის პირობების მიღება.

მე თვითონ გადავწყვიტე ასე და პირველად არავის ვუთხარი ამის შესახებ. მერე, როცა დრო გავიდა, მათაც შევატყობინე“.[39]

როგორც დავინახეთ, ასეთ კრიტიკულ ვითარებაში აკ. ჩხენკელმა პირადად გადაწყვიტა, დაერღვია სეიმის მიერ ბოძებული ინსტრუქცია და მისი დასტურის გარეშე მიეღო ბრესტის ზავის პირობები. მაგრამ მას ჯერ კიდევ მცირე იმედი ჰქონდა, რომ თბილისიდან დადებით პასუხს მიიღებდა და დროს აჭიანურებდა.

ამასობაში ულტიმატუმის ვადა ამოიწურა და აკ. ჩხენკელმა გადაწყვიტა, მიეღო ზომები მის გასაგრძელებლად. მან ინახულა ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე რაუფ ბეი და აცნობა, რომ, მართალია, პასუხი მიიღო „მაგრამ

---

[37] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწ. I, საქ. 5, ფ. 80.

[38] იქვე, ფონდი 1836, აღწერა I, საქმე, 5, ფ. 80, 81.

[39] იქვე.

სრული არ იყო და ვერვინ გაიგო მისი ნამდვილი შინაარსი",[40] ამიტომ სთხოვს ულტიმატუმის ვადის გაგრძელებას კიდევ 48 საათით, რაზედაც მიიღო თანხმობა.

ამ ულტიმატუმის ვადა 28 მარტს (10 აპრილს) საღამოს 7 საათზე თავდებოდა. 6 საათზე მოვიდა ოსმალეთის დელეგაციის მდივანი და მოითხოვა პასუხი. მას აცნობეს, რომ ტექნიკური დაბრკოლებების გამო პასუხმა, შესაძლებელია, 9 საათამდე დაიგვიანოსო. მაგრამ პასუხი თბილისიდან 9 საათზედაც არ მიუღიათ. „ჩვენ მაინც, – წერს აკ. ჩხენკელი, – ერთსულოვნად გადაწყვეტილი გვქონდა განგვეცხადებინა, რომ ვიღებთ ბრესტის ზავს. ეს გადაწყვეტილება ოქმშია შეტანილი და ყველასაგან ხელმოწერილი.

ვინაიდან ყველანი ერთი აზრისანი ვიყავით, რომ დიპლომატიური საშუალებით ვერას გავხდით, იარაღით კი დავმარცხდებით, გადავწყვიტეთ, ეს წინადადება წარგვედგინა ოსმალეთის დელეგაციისათვის, თუმცა, მართალია, მთავრობისაგან ამის დასტური არა გვქონდა, მაგრამ ჩემს მისდამი მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ თუ ვინცობაა, 28 მარტს (10 აპრილს) პასუხი ვერ მივიღეთ, თავისთავად იგულისხმება, რომ მთავრობა თანახმაა ამ წინადადებისა.

ულტიმატუმის შემდეგ პირობები შეიცვალა. მართალია, მაქსიმუმის წარდგენა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ, რადგანაც არავითარი იმედი არა გვქონდა ბათუმის შენარჩუნებისა, გადავდგით ის ნაბიჯი, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ."[41]

სულ უფრო მეტად ცხადი ხდებოდა, რომ ოსმალეთის დეგელაციის მხრივ რაიმე კომპრომისზე ფიქრი ზედმეტი იყო. ამის გამო ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ სეიმისაგან მიღებული დირექტივების შესრულება არარეალური იყო.

შექმნილ ვითარებაში აკ. ჩხენკელი იძულებული იყო, დათანხმებოდა ბრესტის ზავის პირობების მიღებას.

31 მარტს (13 აპრილს) რაუფ ბეიმ აცნობა აკ. ჩხენკელს, რომ ოსმალეთის მთავრობამ შეიტყო ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობის შესახებ და საჭიროდ თვლის, მოლაპარაკებაში ჩააბას თავისი მოკავშირეები, ხოლო ამიერკავკასიამ გამოაცხადოს დამოუკიდებლობა.[42] ამავე დროს, ოსმალეთის სარდლობამ ულტიმატუმი წაუყენა ბათუმის კომენდანტს, ქალაქის დაუყოვნებლივ ჩაბარების შესახებ.[43]

---

[40] საქართველოს ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწ. I, საქ. 5, ფ. 81.

[41] იქვე.

[42] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Д. №81, с. 161, 163.

[43] იქვე, Д. №80, с. 161.

იმ დროს, როდესაც ტრაპიზონში ამიერკავკასიის დელეგაციამ მიიღო ბრესტის ხელშეკრულების პირობები, თბილისში სეიმის წევრების დიდი ნაწილი საბრძოლველად იყო განწყობილი.

31 მარტს (13 აპრილს) ჩატარდა ამიერკავკასიის მთავრობის, სეიმის პრეზიდიუმისა და ფრაქციების წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა. ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ ე. გეგეჭკორმა კატეგორიულად განაცხადა, რომ სეიმი არ განიხილავს ბრესტის ზავის საკითხს და მიიღეს ირაკლი (კაკი) წერეთლის რეზოლუცია ტრაპიზონიდან საზავო დელეგაციის გამოწვევის შესახებ.[44]

ამავე დროს შედგა სეიმის სხდომაც. გაიმართა ცხარე კამათი. სიტყვით გამოვიდნენ: წერეთელი, არუთინიანი, ლორთქიფანიძე, ჯუღელი, ჟორდანია, ჩხეიძე, რუსთამბეკოვი, სმირნოვი და სხვ. გაირკვა, რომ სეიმის მუსლიმი წევრები ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებაში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდნენ. სეიმის სხდომაზე აზერბაიჯანელმა რუსთამბეკოვმა „მუსავატის" ფრაქციის, მაჰმადიანთა უპარტიო ჯგუფისა და რუსეთის მუსლიმური პარტიის „ითთიხათის" სახელით განაცხადა, რომ ოსმალეთთან ომი მოითხოვს მთელი ძალების გაერთიანებას, რაც სადღეისოდ შეუძლებელია, იმის გამო, რომ ჩვენს ხალხს აქვს მტკიცე ეროვნულ-რელიგიური კავშირი თურქეთთან, ჩვენ ამ ომში მონაწილეობას ვერ მივიღებთო. უთუოდ ეს იყო მთავარი მიზეზი ოსმალეთთან ომის არიდებისა და არა რუსთამბეკოვის განცხადებით შექმნილი კიდევ ერთი სიძნელე — რომ „ჩვენში სამხედრო ვალდებულება არ არსებობსო."[45]

ამრიგად, აზერბაიჯანელების მონაწილეობა ამ კონფლიქტში შემოიფარგლა მოლაპარაკებებით და სხდომებზე ჯდომით, ომში მონაწილეობას კი მათ თავი აარიდეს. ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საზავო მოლაპარაკების დროსაც, ისინი ხშირად ოსმალეთის პოზიციას ემხრობოდნენ.

სეიმმა მიიღო მანიფესტი ამიერკავკასიის ერებისადმი: სამშვიდობო მოლაპარაკება ოსმალეთთან შეწყვეტილია და ამიერიდან დავა იარაღის ძალით ბრძოლის ველზე გადაწყდება. სამშობლო განსაცდელშია, შველას ითხოვს, ჩვენ წინაშე დგას არჩევანი: ან სამარცხვინო ზავი და მონობა, ან ომი. სამარცხვინო ზავს ხელს ვერ მოვაწერთ. ამიერიდან დავა უნდა გადაწყდეს იარაღით ხელში, ბრძოლის ველზე. ყველანი თოფით! ყველანი ფრონტისაკენ! ყველანი სამშობლოს დასაცავად![46]

1 (14) აპრილს თბილისიდან ამიერკავკასიის დელეგაციამ მიიღო მთავრობის დეპეშა, სადაც ნათქვამი იყო: „დღეს ამიერკავკასიის სეიმმა ერთხმად მიიღო დადგენილება: ვინაიდან სამშვიდობო მოლაპარაკებამ ამიერკავკასიასა

---

[44] იქვე, Д. №82, 83, 84, с. 163-185.
[45] იქვე.
[46] იქვე, Д. №85, с. 185-186.

და ოსმალეთს შორის საზღვრების საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწია, ამიერკავკასიის დელეგაციას წინადადება ეძლევა, დაუყოვნებლივ დაბრუნდეს თბილისში“ [47]

„ეს დეპეშა, — წერს აკ. ჩხენკელი, — გათენებისას მოგვივიდა. იგი ჩვენ ისე მივიღეთ, როგორც საზავო მოლაპარაკების შეწყვეტის ბრძანება. მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ვფიქრობთ, რომ მდგომარეობა მეტისმეტად კრიტიკულია, ამას შეიძლება დიდი უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, ერთხმად საჭიროდ დავინახეთ, ოსმალეთის დელეგაციისათვის გვეცნობებინა დეპეშის მხოლოდ მეორე ნაწილი — თბილისში დაბრუნების შესახებ.“[48]

აკ. ჩხენკელი არ იყო დარწმუნებული, რომ ოსმალეთთან ომის შემთხვევაში წარმატებას მიაღწევდნენ. ამიტომ იგი მოლაპარაკების განახლების მომხრე იყო. მან ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარეს დაუმალა სეიმის დადგენილება და აცნობა მხოლოდ, რომ მოლაპარაკება დროებით იყო შეწყვეტილი.

აი, როგორ ამართლებს ამ გადაწყვეტილებას აკ. ჩხენკელი: „მიუხედავად იმისა, — წერს იგი, — რომ მთავრობა გვწერდა საზავო მოლაპარაკება შეგვეწყვიტა, რაც, რაღა თქმა უნდა, კონფლიქტს ჰბადებდა, და ვინაიდან პირველი ნაბიჯი და ისიც მთავარი და უფრო დიდმნიშვნელოვანი, ბრესტის ზავის მიღების შესახებ, მთავრობის ნებადაურთველად, უკვე გადავდგით, ჩვენ ვარჩიეთ, ეს ნაკლები დანაშაულიც მიგვეღო ჩვენს თავზე და ზავის შეკვრის საშუალება სრულიად არ მოგვესპო, მით უფრო, რომ ომი ყოველთვის შესაძლებელია. ამ მოსაზრებით, ჩვენ თბილისში დაბრუნების მიზეზი არ გავუმხილეთ ოსმალეთის დელეგაციას და დელეგაციების შეხვედრის დროს მე განვუმარტე თავმჯდომარეს, რომ ეს რაღაც გაუგებრობაა, რაც იმით აიხსნება, რომ მოწყვეტილი ვართ ამიერკავკასიას, არ ვიცით, რაგვარი სულისკვეთებაა იქ და ტერიტორიული დაშორების გამო მიწერ-მოწერა თხოულობს დიდ დროს: ჩავალთ, წარვუდგენთ მთავრობას მოხსენებას და არ ვკარგავთ იმედს სეიმი და მთავრობა დაგვეთანხმებიან და კვლავ განვაახლებთ მოლაპარაკებას. აღვნიშნე, რომ მოლაპარაკება დროებით არის შეჩერებული და არა შეწყვეტილი“.[49]

ტრაპიზონის კონფერენციაზე მოლაპარაკება შეწყდა, მაგრამ რჩებოდა იმედი, რომ მოლაპარაკება კვლავ განახლდებოდა.

ამიერკავკასიის დელეგაცია ტრაპიზონის კონფერენციაზე მოუმზადებელი ჩავიდა და უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან ვერ შეძლო სეიმის მიერ მიცემული ვერცერთი დირექტივის შესრულება. ოსმალეთის დელეგა-

---

[47] იქვე, Д. №84, გვ. 184.

[48] საქართველოს ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ნაწ. I, საქმე 5, ფურცელი 83.

[49] იქვე, ფ. 82.

ცია ძალისმიერი პოზიციიდან მოქმედებდა და ამიერკავკასიის დელეგაციას თავს მოახვია წინასწარ შემუშავებული მოთხოვნილებები. მართალია, ტრაპიზონის კონფერენციაზე მოლაპარაკება შეწყდა, მაგრამ ოსმალეთს, ფაქტობრივად, უკვე რეალიზებული ჰქონდა დასახული ამოცანები.

MIKHEIL SVANIDZE

THE TRABZON CONFERENCE
(MARCH 14 APRIL 14, 1918)

Summary

As a result of preliminary talks with Turkey an agreement was reached on the convening of a conference at Trabzon on concluding a peace treaty between the Transcaucasian government and Turkey.

At the conference Turkey presented the following demands: 1. The Transcaucasian Commisariat must declare independence. 2. Recognize the Treaty of Brest and transfer the Artaani, Kars and Barumi regions to Turkey.

To April 5 the Transcaucasian delegation refused to meet Turkey's demands. On 6 April the Turkish delegation demanded in the form of an ultimatum the recognition of the Treaty of Brest. At the same time, violating the Treaty of Erzincan, Turkey resumed hostilities with the object of capturing the Artaani, Kars, and Batumi regions.

In the obtaining critical situation, the Transcaucasian delegation accepted the terms of the Treaty of Brest on10 April – without the consent of the Sejm.

On 13 April the Transcaucasian Sejm passed a resolution on suspending the talks and on the recall of the delegation to Tbilisi, A. Chkhenkeli, leader of the delegation, concealed the resolution of the Sejm from the Turkish side, limiting himself to the statement that the negotiations were suspended temporarily, which allowed for their resumption in the future.